ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №8

15.04.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
6. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ **(12-032205940-03; 28.02.22);**
2. სს „საქართველოს ბანკის“ (ს/კ. 204378869) საქმესთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ **(13.04.2022; 12-0322103111-03);**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-0322091108-03; 01.04.2022)**;
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-0322091108-03; 01.04.2022)**;
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-032210189-03; 11.04.2022)**;
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12

დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-032210190-03; 11.04.2022).**

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

შ.ოგბაიძემ მომხსენებლებს სთხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების წარმოდგენა.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ **(12-032205940-03; 28.02.22):**

ლ.მიქავა - წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 201,097.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 228,087.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 102.2%-ს წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა - **1 128,769.6 ათასი** ლარი, **1 146,914.0 ათასი** ლარით შესრულდა, რაც გეგმის **101.6%-ს** და მთლიანი შემოსულობების - **93.4%-ს** შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია **201,131.6 ათასი ლარი,** მათ შორის, აღსანიშნავია სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - **25,471.9 ათასი** ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების (II ფაზა) ფარგლებში ავტობუსების და მასთან დაკავშირებული სერვისის შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადის და რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობის მიზნით მშენებლობისათვის აუცილებელი საშენი მასალების შესყიდვისა და მომსახურების საავანსო ვალდებულებების ნაწილის გადასახდელად.

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია **13, 301.3 ათასი** ლარი, რაც გეგმის (**11,500.0 ათასი** ლარი) **115.7%-ს** შეადგენს. მათ შორის, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე შეადგენს - **950.2 ათას** ლარს.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში **49,965.9 ათასი** ლარი შეადგინა, რაც გეგმის (51,000.0 ათასი ლარი) **90.8%-ს** შეადგენს და 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (43,322.7 ათასი ლარი) შედარებით **6,643.2 ათასი ლარით** მეტია. მათ შორის: დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - **3,325.7 ათასი** ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - **313.4 ათასი** ლარი, დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის - **663.9 ათასი** ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში (BUS LINE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის - **821.2 ათასი** ლარი.

სუბსიდიების მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა **410,112.8 ათასი** ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა **409,111.3 ათასი** ლარი, რაც გეგმის **99.8%-ს,** ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების საკასო შესრულების **42.2%-ს** შეადგენს. სუბსიდიების მუხლიდან სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიცაა, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია **- 155,035.4 ათასი** ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი პრიორიტეტები/ქვეპროგრამები:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა** - 338,700.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (**349,055.3 ათასი** ლარი) 97%-ს შეადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება** (კოდი 01 01) დაფინანსებულია **74,827.9 ათასი** ლარით, რაც გეგმიური მაჩვენებლის **77,365.0 ათასი** ლარის 96.7%-ს შეადგენს.

- **ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02)** დაფინანსდა **263,872.7 ათასი** ლარით, რაც გეგმიური მაჩვენებლის **271,690.3 ათასი** ლარის 97.1%-ს შეადგენს. ტრანსპორტის განვითარების ფარგლებში, ქვეპროგრამა **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01)** დაფინანსდა **20,193.6 ათასი** ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,790.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 72.1%-ს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოწკინტები, შუქდამბრუნებელი, დაზიანებული ლითონის ძელებიანი ზღუდარები, ბარიერები და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი, მოვლა - შენახვა და საექსპლუატაციო სამუშაოები. კერძოდ: დამონტაჟდა სხვადასხვა

ჯგუფის ახალი სტანდარტული 5397 საგზაო ნიშანი. შეძენილ იქნა და დამონტაჟდა 3975 ცალი ბოწკინტი; შეიცვალა შუქნიშნის 142 მოდული. დედაქალაქის მასშტაბით პარკირებისთვის, მათ შორის ტაქსებისათვის, პერიოდულად მიმდინარეობს ახალი ადგილების გამოვლენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება. კერძოდ, მიმდინარე პერიოდში შერჩეული იქნა 6 ლოკაცია, სადაც მოეწყო დამატებით 15 ადგილი ტაქსების პარკირებისთვის. ასევე, 37 ლოკაციაზე მოეწყო ელექტრო დამტენები და დედაქალაქის მასშტაბით - 3 260 ადგილი ზონალური პარკირებისთვის. გარდა ამისა, გატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02)** 2021 წლის გეგმა - 71,008.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით. საშუალო შეკეთება-მოდერნიზაცია ჩაუტარდა 13 ერთეულ ემა-81-717M სერიის მეტროს სათაო ვაგონს და 7 ერთეულ ემა-81-714M ტიპის შუალედურ ვაგონს, შეძენილია თანამედროვე ევროპული სტანდარტების ახალი 8 მეტრიანი 180 ერთეული ავტობუსი, გადახდილია „თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში“ M3 კატეგორიის 100 ავტობუსის შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადი.

- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05)** - 2021 წლის გეგმა - 155,035.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ სრულყოფილი ფუნქციონირების (მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დაფარვა, მიმდინარე ვალდებულებების და სხვა ხარჯების უზრუნველსაყოფად) მიზნით, სუბსიდიის სახით - **103,355.8 ათასი** ლარის ოდენობით.

- **საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08)** - 2021 წლის გეგმა - **17,639.7 ათასი** ლარი, დაფინანსდა 100%-ით. საანგარიშო პერიოდში დაფარულია რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობის მიზნით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“, შპს „DOPPELMAYR Seilbuhnen“ და შპს „დაგის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, მშენებლობისათვის აუცილებელი საშენი მასალების და მომსახურების შესყიდვა - 17,435.3 ათასი ლარი. ასევე, ,,რიყე-ნარიყალას" საბაგიროს შეუფერხებელი და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და სს „leitner“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა - **204.4 ათასი** ლარის ოდენობით.

- **საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11).** საანგარიშო პერიოდში საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (მეტრო, M2, M3 და საბაგირო) გადაყვანილია უფასო ან შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე **სულ 87 516 600 მგზავრი.** მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), საბაგირო და M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია სულ 85 283 490 მგზავრი, აქედან: მეტროთი 42 253 283 მგზავრი, M3 კატეგორიის ავტობუსით 43 014 722 მგზავრი და საბაგირო (,,უნივერსიტეტი - ბაგები“) 15 485 მგზავრი. გაწეული მომსახურებისათვის მგზავრთა გადამყვანი შპს „თბილისის

სატრანსპორტო კომპანია“ დაფინანსებულია 32,579.7 ათასი ლარით, აქედან: მეტოპოლიტენით უფასო და შეღავათიანი ტარიფით მგზავრთა გადაყვანა 16,068.0 ათასი ლარით, M3 კატეგორიის ავტობუსებით 16,505.6 ათასი ლარით და საბაგირო გზით 6.1 ათასი ლარით; M2 კატეგორიის ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, მგზავრობის ტარიფის 50%-ანი შეღავათით გადაყვანილია 2 223 110 მგზავრი. მგზავრთა გადამყვანები დაფინანსებულია 703.5 ათასი ლარით, მათ შორის: შპს „თბილ ლაინი“ – 236.3 ათასი ლარით, შპს „კაპიტალ გრუპი“ – 91.4 ათასი ლარით, შპს „თბილ ქარი“ – 71.7 ათასი ლარით, შპს „ფაბლიქ ქარი“ – 304.1 ათასი ლარით.

- **სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18).** საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა **6,836.1 ათასი** ლარი. ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 6,604.1 ათასი ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 2,190.3 ათასი ლარი), რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.6% და 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3,763.5 ათასი ლარით მეტია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-032205940-03; 28.02.22) პროექტი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სს „საქართველოს ბანკის“ (ს/კ. 204378869) საქმესთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ**“ (13.04.2022; 12-0322103111-03):**

ს.ბირკაძე - განკარგულების პროექტის 1-ლი პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა მიეცეს თანხმობა, განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად გააფორმოს **მორიგების აქტი** სს „საქართველოს ბანკს“ (ს/ნ 204378869) და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (ს/ნ 202886788) შორის.

განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უნდა მიეცეს თანხმობა, განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად გააფორმოს **შეთანხმება,** სს „საქართველოს ბანკს“ (ს/ნ 204378869), სს „თიბისი ბანკს“ (ს/ნ 204854595) და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (ს/ნ 202886788) შორის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 სექტემბრის N18.786.1154 განკარგულებით სს „საქართველოს ბანკი“ განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, აგრეთვე საბაგირო გზით „რიყე ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფებით მოსარგებლე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული საჯარო სამართალის იურიდიული პირების -

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტების სამგზავრო პლასტიკური ბარათებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილ სუბიექტად და უფასო და შეღავათიანი სამგზავრო ტარიფებით მოსარგებლე ამავე კატეგორიების პირებისთვის საბანკო ბარეთების არაექსკლუზიურად გამოცემაზე უფლებამოსილ პირად, 2018 წლის პირველი ოქტომბრიდან.

2018 წლის 24 ოქტომბერს სს „საქართველოს ბანკმა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 სექტემბრის N18.786.1154 განკარგულება და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ დაევალოთ **2017 წლის 15 სექტემბრის** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის შესახებ“ ხელშეკრულების მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ყველა კატეგორიის მოქალაქეთა მონაცემების, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის #6-25 დადგენილებით გათვალისწინებული მონაცემების, მომსახურების გაწევისათვის საჭირო ფორმით, სს „საქართველოს ბანკისათვის“ გადაცემა. აღნიშნული მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით **დაკმაყოფილებულ იქნა.**

სასამართლოს მოსაზრებით, სს „საქართველოს ბანკს“ ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა უზრუნველეყო საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის „გადახდის ღია სისტემის“ მოწყობა, რაც გულისხმობს ყველა მსურველი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიერ ემიტირებული უკონტაქტო VISA/MASTERCARD ბარათის მიღებას.

სასამართლოს მოსაზრებით, სატრანსპორტო ბარათებთან მიმართებაში მომსახურების გამწევის (სს „საქართველოს ბანკი“) ვალდებულებები განისაზღვრა შემდეგი სახით: მომსახურების გამწევმა იკისრა უკვე არსებული სატრანსპორტო ბარათების ახალ სისტემაში დაშვების, შეღავათით მოსარგებლე კატეგორიის პირებისთვის პირველი სახელობითი სატრანსპორტო ბარათის დამზადების, ასევე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის გასვლის შემდგომ, ახალი ოპერატორი კომპანიისთვის მომხმარებლის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო ბარათების და სოციალური ბარათების შესაბამისი გასაღების გაზიარების ვალდებულება. სს „საქართველოს ბანკს“ 2017 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულების დადების შემდგომ სხვა პირის მიერ დამზადებული სატრანსპორტო ბარათის გადახდის ახალ სისტემაში დაშვების ვალდებულება არ უკისრია, ახალ სისტემაში ასეთი სატრანსპორტო ბარათის ჩართვის გარეშე კი შეუძლებელი იქნება მისი ფუნქციონირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2017 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით სს „საქართველოს ბანკი“ განისაზღვრა ნებისმიერი მგზავრისათვის, მათ

შორის, შეღავათით მოსარგებლე ყველა კატეგორიის პირისათვის სატრანსპორტო ბარათების დამზადება/გამოშვებაზე უფლებამოსილ/ვალდებულ პირად. შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „სატრანსპორტო კომპანია“ ხელშეკრულების გარკვეული პუნქტების თანახმად, ვალდებული იყო გაეცა მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

სასამართლოს გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2022 წლის 11 აპრილს სს „საქართველოს ბანკის“ მიერ წარმოდგენილ იქნა დავის მორიგებით დასრულების წინადადება და მორიგების აქტის და შეთანხმების პროექტები.

აღნიშნული პროექტების მიხედვით, ბანკმა გამოხატა მზაობა, რომ სხვა რეზიდენტ და არარეზიდენტ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, შეუზღუდავად, თავიანთი შეხედულებისამებრ, საკუთარი ხარჯით და რისკით განსაზღვრონ ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების პირობები და გამოუშვან ამგვარი აბონიმენტები, ხოლო სს „საქართველოს ბანკი“ ვალდებულია, ამგვარი აბონიმენტები ჩართოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში. რაც ნიშნავს იმას, რომ სს „საქართველოს ბანკმა“ იკისრა საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის ღია სისტემაში სხვა ბანკების მიერ დამზადებული საბანკო ბარათების დაშვების ვალდებულება.

გარდა ამისა, შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების დამზადების, გაცემის და შემდგომი ტექნიკური მართვის უფლებამოსილება ენიჭებს მხოლოდ სს „საქართველოს ბანკს“, მისი სერვის-ცენტრების გადახდის აპარატების ან სხვა საშუალებებით. სს „საქართველოს ბანკი“ ასევე აცხადებს, რომ რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო დაწესებულებას საშუალებას მისცემს, რომ მათ მიერ გაცემული საბანკო ბარათების მფლობელებმა ისარგებლონ მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული ჯერადი და ვადიანი აბონემენტებით, ამასთან სს „საქართველოს ბანკმა“ საშუალება უნდა მისცეს რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო დაწესებულებებს, ჩაერთონ გადახდის ღია სისტემაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (13.04.2022; 12-0322103111-03) სს „საქართველოს ბანკის“ (ს/კ. 204378869) საქმესთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ“ განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-0322091108-03; 01.04.2022):**

ვ.აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 18 მარტის №18-0122077875 წერილით სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში გაიგზავნა შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ 2022 წლის პირველი მარტის №68-01220603101 წერილი. მასში აღნიშნულია, რომ შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“ (ს/კ 404553666) წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის №18.8.66 განკარგულებით დამტკიცებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეკოსერვის ჯგუფი“-ს წესდების შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული წესდების დანართ 1-ში ჩამოთვლილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალების შემთხვევაში ასევე სხვა) გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა. აღნიშნული საქმიანობის ორგანიზების ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობისთვის მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიეცეთ კომპანიის გარკვეული კატეგორიის თანამშრომლებს.

ზ/ა გათვალისწინებით, შემუშავდა წარმოდგენილი პროექტი და დადგენილების მე-2 მუხლს ემატება „ლ[3]“ ქვეპუნქტი, რომლითაც, უფასო მგზავრობის უფლება ენიჭებათ ,,შპს ,,ეკოსერვის ჯგუფში“ მომუშავე მძღოლებს, მეგაღეებს, დამლაგებლებს, მთიბავებს, დამხმარე მუშებს, ელექტრიკოსებს, ძრავის შემკეთებლებს, შადრევნის მრეცხავებს, სპეციალისტებს, მჭრელებს, მხერხავებს და მუშებს.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0322091108-03; 01.04.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე:**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-0322091108-03; 01.04.2022)**.

ვ.აბულაძე - როგორც მოგეხსენებათ, განსახილველად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც გულისხმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლების მინიჭებას კომპანია შპს ,,ეკოსერვის ჯგუფის“ გარკვეული კატეგორიის თანამშრომელთათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას ტექნიკური ხასიათის ცვლილების საჭიროება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაშიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0322091108-03; 01.04.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-032210189-03; 11.04.2022)**:

დ.ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მცირდება ინტერვალები M2 ავტობუსების შემდეგ მარშრუტებზე: №№403,423,424,425, 428, 429, 439, 444, 445, 456, 465, 480, 496, 500, 510, 511, 520, 521, 524, 546, ასევე, №№481,503 მარშრუტებს, მგზავრთნაკადიდან გამომდინარე განესაზღვრებათ ახალი ინტერვალები.

ამასთან, ცვლილებები ხორციელდება შემდეგ მარშრუტებზე: მარშრუტი №411-ის მოძრაობა მარნეულის ქუჩიდან გაგრძელდა ალექსანდრე ბერიძის ქუჩის მიმართულებით; მარშრუტი №413-ის მოძრაობაში შევიდა კორექტივები და იმის გათვალისწინებით, რომ მ/ს „ვარკეთილიდან“ იგეგმება ავტობუსის M_3 კატეგორიის მარშრუტის ამოქმედება ილია სუხიშვილის და სესილია თაყაიშვილის ქუჩების მიმართულებით, რითაც ასევე უმჯობესდება მომსახურება ვახტანგ და ბადრი გზირიშვილების ქუჩის მიმართულებითაც, M_2 კატეგორიის ავტობუსის №413 მარშრუტის ბოლო გაჩერებად განისაზღვრა მიხეილ გახოკიძის ქ. #60-ის მიმდებარე ტერიტორია, ნაცვლად ვარკეთილის II მ/რ, კორპუსი #21-ის მიმდებარედ; მარშრუტი №419-ის მოძრაობა სოფელ აგარაკებში წმინდაწყლის ქუჩიდან გაგრძელდა შუა მინდვრის ქუჩისკენ; მარშრუტი №422-ის მოძრაობა ნესტან დარეჯნის ქუჩიდან გაგრძელდა სოფელ დიღომში დავით აღმაშენებლის ქუჩა #85-ისკენ; მარშრუტი №427-ის მოძრაობა გაგრძელდა იაკობ ცურტაველის და გიორგი გურამიშვილის ქუჩის მიმართულებით; მარშრუტი №486-ის მოძრაობა ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩიდან გაგრძელდა გლდანისხევის დასახლებაში, №1ა,1,2ა,4 კორპუსების გავლით; მარშრუტი №495-ის მოძრაობა გაგრძელდა ვარკეთილის მეურნეობაში შოთა რუსთაველის და მეგობრობის ქუჩების ბოლომდე; იმის გათვალისწინებით, რომ ველის დასახლებიდან ავტობუსის (M_3 კატეგორია) №330 მარშრუტი მოძრაობს გუმათჰესის და ლუკა რაზიკაშვილის ქუჩაზე და გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩის გავლით უკავშირდება მ/ს „სამგორს“ და მ/ს „ისანს“, მარშრუტი №516-ის მოძრაობა ლუკა რაზიკაშვილის ქუჩიდან გაგრძელდა ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. #12-ის მიმართულებით; მარშრუტი #476-ის მოძრაობაში შევიდა კორექტივები და იმის გათვალისწინებით, რომ სადგურის მოედნიდან იგეგმება ავტობუსის M_3 კატეგორიის მარშრუტის ამოქმედება პეკინის გამზირის, ვაჟა ფშაველას გამზირის, პეტრე ქავთარაძის და მ/ს „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიმართულებით, #476 მარშრუტი ჩამოყალიბდა შემდეგი სქემით: მ/ს "სადგურის მოედანი 1"-ის წინამდებარე ტერიტორია (წრე) - თამარ მეფის გამზირი - მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. - აკაკი წერეთლის გამზირი - დავით ყიფიანის ქ. - ქუთაისის ქ. - ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი -გიორგი სააკაძის დაღმართი - გიორგი სააკაძის მოედანი - ჟიული შარტავას ქ. - სიმონ კანდელაკის ქ. - შალვა ნუცუბიძის ქ. - ელიზბარ მინდელის ქ. - ელიზბარ მინდელის ქ. #10-ის მიმდებარედ.

შემუშავდა 10 ახალი მარშრუტი:

მარშრუტი №408 - მ/ს "რუსთაველი" (შოთა რუსთაველის გამზირი #52 მიმდებარედ) - შოთა რუსთაველის გამზ. (მობრუნება ზეთისხილის ხესთან) - მერაბ კოსტავას ქ. (მობრუნება ფილარმონიასთან) - თამარ ჭოველიძის ქ. - ბესარიონ ბელინსკის ქ. - იაკობ გოგებაშვილის ქ. - კოტე მაყაშვილის ქ. - პოლიკარპე კაკაბაძის ქ. - დანიელ ჭონქაძის ქ. - შიო ჩიტაძის ქ. - 9 აპრილის ქ. - შოთა რუსთაველის გამზირი - თავისუფლების მოედანი - გიორგი ლეონიძის ქ. - გერონტი ქიქოძის ქ. - მიხეილ ლერმონტოვის ქ. - პაოლო იაშვილის ქ. - ამაღლების ქ. - დანიელ ჭონქაძის ქ. - პოლიკარპე კაკაბაძის ქ. - კოტე მაყაშვილის ქ. - ვასილ ბარნოვის ქ. - ძმები კაკაბაძეების ქ. - მ/ს "რუსთაველი" (შოთა რუსთაველის გამზირი #52 მიმდებარედ) (წრიული).დაგეგმილია 2 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, ინტერვალი - 15 წთ.

მარშრუტი №420 - მ/ს "რუსთაველი" (შოთა რუსთაველის გამზირი #52 მიმდებარედ) - შოთა რუსთაველის გამზ. (მობრუნება ზეთისხილის ხესთან) - მერაბ კოსტავას ქ. (მობრუნება

ფილარმონიასთან) - თამარ ჭოველიძის ქ. - ბესარიონ ბელინსკის ქ. - იაკობ გოგებაშვილის ქ. - გურამ რჩეულიშვილის ქ. - რევაზ ჯაფარიძის ქ. - რევაზ ჯაფარიძის ქ. #46-ის მიმდებარედ. უკუ მიმართულება: რევაზ ჯაფარიძის ქ. #46-ის მიმდებარედ - რევაზ ჯაფარიძის ქ. - გურამ რჩეულიშვილის ქ. - იაკობ გოგებაშვილის ქ. - კოტე მაყაშვილის ქ. - ვასილ ბარნოვის ქ. - ძმები კაკაბაძეების ქ. - მ/ს "რუსთაველი" (შოთა რუსთაველის გამზირი #52 მიმდებარედ). დაგეგმილია 2 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, ინტერვალი - 12 წთ.

მარშრუტი №537 - ნუცუბიძის IV პლატო, კორპ #23/24 მიმდებარედ - ნუცუბიძის IV პლატო (კორპ #25, 26, 27, 28 გავლით) - ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ. - ავთო ვარაზის ქ. - პაატა დათუაშვილის ქ. - რამაზ ჩხიკვაძის ქ. - შალვა ნუცუბიძის ქ. - ფერდინანდ თავაძის ქ. - სერგო ზაქარიაძის ქ. - ვაჟა ფშაველას ჩიხი - ვაჟა ფშაველას გამზირი - მ/ს "დელისი". უკუმიმართულება: მ/ს "დელისი" - ფერდინანად თავაძის ქ. - შალვა ნუცუბიძის ქ. - რამაზ ჩხიკვაძის ქ. - პაატა დათუაშვილის ქ. - ავთო ვარაზის ქ. - ლეო და ნოდარ გაბუნიების ქ. - ნუცუბიძის IV პლატო (კორპ #28, 27, 26, 25 გავლით) - ნუცუბიძის IV პლატო, კორპ #23/24 მიმდებარედ. დაგეგმილია 5 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, ინტერვალი - 10 წთ.

მარშრუტი №549 - წინანაურის ქ. #93-ის მოპირდაპირედ - წინანაურის ქ. - ორთაჭალის II შესახვევი - ბეჟან კალანდაძის ქ. - ვახტანგ გორგასლის ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - გია გულუას ქ. - საბატონოს ქ. - ცოლიკაურის ქ. - ირაკლი ჟორდანიას ქ. - დიდი ხეივნის ქ. - გია გულუას ქ. - მარჯვენა სანაპირო - ვახტანგ გორგასლის ქ. - ბეჟან კალანდაძის ქ. - ორთაჭალის II შესახვევი - წინანაურის ქ. - წინანაურის ქ. #93-ის მოპირდაპირედ (წრიული). დაგეგმილია 2 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, ინტერვალი 15 წთ.

მარშრუტი №552 - მ/ს "300 არაგველი" (წინანდლის ქ. #6ა-ს მიმდებარედ) - წინანდლის ქ. - ბოჭორმის ქ. - იალბუზის ქ. - ნოე ჟორდანიას სანაპირო - სამასი არაგველის ხიდი - მარჯვენა სანაპირო - ვახტანგ გორგასლის ქ. - ბეჟან კალანდაძის ქ. - ნადიკვარის III ქ. - სულიკო თორთლაძის ქ. - ნოდარ ტაბიძის ქ. - ბეჟან კალანდაძის ქ. - ვახტანგ გორგასლის ქ. - მარჯვენა სანაპირო - სამასი არაგველის ხიდი - ნოე ჟორდანიას სანაპირო - იალბუზის ქ. - ბოჭორმის ქ. - წინანდლის ქ. - ახმეტის ქ. - ალექსანდრე ხახანაშვილის ქ. - გუთნის ქ. - წინანდლის ქ. - მ/ს "300 არაგველი" (წინანდლის ქ. #6ა-ს მიმდებარედ) (წრიული). დაგეგმილია 2 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, ინტერვალი - 15 წთ.

მარშრუტი №553 - მ/ს "ღრმაღელე" - დავით გურამიშვილის გამზირი - სანზონის დასახლება (კორპ. #27, 11ა, 10ა, 19ბ, 20ა, 21ა-ს გავლით) - ჩარგალის ქ. - ბოგვის ქ. - ზიგზაგის I ქ. - გვაზაურის II შესახვევი - გვაზაურის II შესახვევი (მობრუნება #60-ის მიმდებარედ) - გვაზაურის II შესახვევი - ზიგზაგის I ქ. - ბოგვის ქ. - ჩარგალის ქ. - ლიახვის ქ. - დავით გურამიშვილის გამზირი - მ/ს "ღრმაღელე" (წრიული). დაგეგმილია 2 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, ინტერვალი - 15 წთ.

მარშრუტი №554 - მ/ს "ვარკეთილი" - ჯავახეთის ქ.(მობრუნება საცხენისის ქუჩის მიმდებარედ) - შუამთის ქ. - გიორგი აბაშვილის ქ. - გიორგი ბერიაშვილის ქ. - მიხეილ გახოკიძის ქ. - ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. - ალექსანდრე თვალჭრელიძის II შესახვევი - ალექსანდრე თვალჭრელიძის I შესახვევი - კახეთის გზატკეცილი - მიხეილ გახოკიძის ქ. -

გიორგი ბერიაშვილის ქ. - გიორგი აბაშვილის ქ. - შუამთის ქ. - ელდარის ქ. - კალოუბნის ქ. - ჯავახეთის ქ. - 17 შინდისელი გმირის ქ. - ლიზა ნაკაშიძე ბოლქვაძის ქ. - მ/ს "ვარკეთილი" (წრიული).დაგეგმილია 3 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, ინტერვალი - 15 წთ.

მარშრუტი №555 - შორაპნის II ქ. #11ა-ს მიმდებარედ - შორაპნის II ქ. - ჯორჯ ბუშის ქ. - ავლიპ ზურაბიშვილის ქ. - თელავის ქ - ახმეტის ქ. - წინანდლის ქ. - ბოჭორმის ქ. - დოლაბაურის მოედანი - დოლაბაურის I ქ. - ბოჭორმის ქ. - წინანდლის ქ. - მ/ს "300 არაგველი" - წინანდლის ქ. - ახმეტის ქ. - თელავის ქ. - ავლიპ ზურაბიშვილის ქ. - ჯორჯ ბუშის ქ. - შორაპნის II ქ. - შორაპნის II ქ. #11ა-ს მიმდებარედ (წრიული). დაგეგმილია 2 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, ინტერვალი - 20 წთ.

მარშრუტი №556 - გადასასვლელი ხიდი - ცოტნე დადიანის ქ. - გიორგი ჩიტაიას ქ. (მობრუნება ნიკო ფიროსმანის მოედანზე) - ოთარ ქინქლაძის ქ. - როსტოვის ქ. - ნორიოს აღმართი - ლარეხის ქ - ართვინის ქ. - ოთარ ჩეჩელაშვილის ქ. - მნათობის ქ. - მნათობის შესახვევი - მერაბ მამარდაშვილის ქ. - ართვინის ქ. - ლარეხის ქ. - ნორიოს აღმართი - როსტოვის ქ. - ოთარ ქინქლაძის ქ. - პეტრე მამრაძის ქ. - გიგო ზაზიაშვილის ქ. - ცოტნე დადიანის ქ. - გადასასვლელი ხიდი (წრიული). დაგეგმილია 3 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, ინტერვალი - 15 წთ.

მარშრუტი №558 - ერმილე ბედიას ქ. #33 - ერმილე ბედიას ქ. - შალვა ნუცუბიძის ქ. - ფერდინანდ თავაძის ქ. - სერგო ზაქარიაძის ქ. - ვაჟა ფშაველას ჩიხი - ვაჟა ფშაველას გამზირი - მ/ს "დელისი". უკუმიმართულება: მ/ს "დელისი" - ფერდინანდ თავაძის ქ. - შალვა ნუცუბიძის ქ. - ერმილე ბედიას ქ. - ერმილე ბედიას ქ. #33. დაგეგმილია 3 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, ინტერვალი - 12 წთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032210189-03; 11.04.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-032210190-03; 11.04.2022):**

დ.ჯაიანი - მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია გარკვეული კორექტივების განხორციელება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ ცვლილებების პროექტს:

№№322,341,361 მარშრუტებში, კახეთის გზატკეცილზე მოძრაობისას, მოძრაობის უსაფრთხოებიდან გამომდინარე კახეთის გზატკეცილიდან მოძრაობა გაგრძელდება ევროპის ქუჩაზე და შემდეგ ისევ კახეთის გზატკეცილით.

მარშრუტი №309 - ვარკეთილის IV მ/რაიონის სრული მომსახურებისთვის მარშრუტი სესილია თაყაიშვილის ქუჩიდან გაგრძელდება ვიქტორ კუპრაძის ქუჩის მიმართულებით და ბოლო გაჩერებად განისაზღვრება - ვარკეთილის IV მ/რ, კორპუსი #424-ის მოპირდაპირედ.

№№332,347,358 მარშრუტებში, პეკინის გამზირიდან მ/ს „დელისის“ მიმართულებით მოძრაობისას, ნაცვლად ვაჟა ფშაველას გამზირის მიმართულებით მოძრაობისა, პეკინის გამზირიდან მარცხენა მოხვევით გაგრძელდება მოძრაობა სულხან ცინცაძის ქუჩის მიმართულებით, რის შემდეგაც ##332,358 იმოძრავებენ დადგენილი სქემით, ხოლო #347 მარშრუტი სულხან ცინცაძის ქუჩიდან მოძრაობას გააგრძელებს გამრეკელის ქუჩის მიმართულებით და შემდეგ ადამ მიცკევიჩის ქუჩიდან იმოძრავებს დადგენილი სქემით.

მარშრუტი №330 - მგზავრთნაკადიდან გამომდინარე მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობად განისაზღვრება 6 ერთეული და იმოძრავებს 15 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №338 - მგზავრთნაკადიდან გამომდინარე, მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობად განისაზღვრება 5 ერთეული და იმოძრავებს 9 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №377 - მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობად განისაზღვრება 6 ერთეული და იმოძრავებს 7 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №392 - მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობად განისაზღვრება 5 ერთეული და იმოძრავებს 15 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №373 - მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობად განისაზღვრება 4 ერთეული და იმოძრავებს 10 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №379 - მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობა არ შეიცვლება, თუმცა ინტერვალი 16 წუთიდან შემცირდება 13 წუთამდე.
ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილია 7 ახალი მარშრუტი:

მარშრუტი №298 -მ/ს "სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ზურაბ ანჯაფარიძის ქ.-პეტრე ქავთარაძის ქ. - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი - პეკინის გამზ. - 26 მაისის მოედანი - მერაბ კოსტავას გამზირი - გმირთა მოედანი - თამარ მეფის გამზირი - მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ.-აბასთუმნის ქ.-სადგურის მოედანი (სასტუმრო "კოლხეთის" მიმდებარედ).

უკუმიმართულებით: მ/ს "სახელმწიფო უნივერსიტეტი" - ზურაბ ანჯაფარიძის ქ. - პეტრე ქავთარაძის ქ. - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი - პეკინის გამზ. - 26 მაისის მოედანი - მერაბ კოსტავას გამზირი - გმირთა მოედანი - თამარ მეფის გამზირი - მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. - აბასთუმნის ქ. - სადგურის მოედანი (სასტუმრო "კოლხეთის" მიმდებარედ). მარშრუტზე იმოძრავებს 4 ერთეული საშუალო ტევადობის ავტობუსი, 15 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №299 - ლუბლიანას ქ. #76-ის მიმდებარედ - ლუბლიანას ქ. - რობერტ ბარძიმაშვილის ქ. - ბორის პაიჭაძის ქ. - გრიგოლ რობაქიძის გამზირი - შოთა შალიკაშვილის ხიდი-აკაკი წერეთლის გამზირი (მობრუნება აკაკი წერეთლის გამზირი #140-ის მიმდებარედ) - შოთა შალიკაშვილის ხიდი - გრიგოლ რობაქიძის გამზირი - ბორის პაიჭაძის ქ.-რობერტ ბარძიმაშვილის ქ.-ლუბლიანას ქ.-ლუბლიანას ქ. #76-ის მიმდებარედ. მარშრუტზე იმოძრავებს 3 საშუალო ტევადობის ავტობუსი, 10 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №300 - ზაარბრიუკენის მოედანი - მოსე გოგიბერიძის ქ. - ივანე ჯავახიშვილის ქ. - გიორგი ჩიქობავას ქ. (მობრუნება გიორგი ჩიტაიას მოედანზე) - ირაკლი მაზნიაშვილის ქ. - დავით აღმაშენებლის გამზირი - თამარ მეფის გამზირი - გმირთა მოედანი - მერაბ კოსტავას ქ. - 26 მაისის მოედანი - მერაბ კოსტავას ქ. - გიორგი სააკაძის მოედანი - ჟიული შარტავას ქ. - ანა კალანდაძის ქ. - ვაჟა-ფშაველას გამზირი - მარიჯანის ქ. - პეტრე ქავთარაძის ქ. - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი - პეკინის გამზირი - თინა იოსებიძის ქ. - დები იშხნელების ქ. - ჟიული შარტავას ქ. - გიორგი სააკაძის მოედანი - ვახტანგ ჭაბუკიანის ქ. - პეკინის გამზირი - 26 მაისის მოედანი - მერაბ კოსტავას ქ.- გმირთა მოედანი - თამარ მეფის გამზირი - დავით აღმაშენებლის გამზირი - ჭოროხის ქ. - დიმიტრი უზანაძის ქ. - ზაარბრიუკენის მოედანი (წრიული). მარშრუტზე იმოძრავებს 5 საშუალო ტევადობის ავტობუსი, 15 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №303 - სესილია თაყაიშვილის ქ. (კორპ. #403-ის მიმდებარედ) - სესილია თაყაიშვილის ქ.-ილია სუხიშვილის ქ.-ვიქტორ კუპრაძის ქ. - ჯავახეთის ქ. - მ/ს "ვარკეთილი" (მოპირდაპირედ). უკუმიმართულება: მ/ს "ვარკეთილი" (მოპირდაპირედ) - ჯავახეთის ქ. - ვიქტორ კუპრაძის ქ.-ილია სუხიშვილის ქ.-სესილია თაყაიშვილის ქ.- სესილია თაყაიშვილის ქ. (კორპ. #403-ის მიმდებარედ). მარშრუტზე იმოძრავებს 3 საშუალო ტევადობის ავტობუსი, 8 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №366 - მ/ს „ვარკეთილი“-ის მიმდებარედ - რომანოზ ხომლელის ქ. - გიორგი აბაშვილის ქ. - ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. - თრიალეთის ქ. - კალოუბნის ქ. - ჯავახეთის ქ. (ხომლელის ქუჩის გადაკვეთა) (წრიული). მარშრუტზე იმოძრავებს 3 საშუალო ტევადობის ავტობუსი, 7 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №396 – აეროპორტის დასახლება (სანდრო შანშიაშვილის ქ., №28 კორპუსის მოპირდაპირედ) – აეროპორტის დასახლება (სანდრო შანშიაშვილის ქ. – შალვა ჭანკოტაძის ხეივანი – ვერა ბარდაველიძის ქ. – ლუი ბლერიოს ქ. (მობრუნება ლუი ბლერიოს ქ. #20-თან) – ვერა ბარდაველიძის ქ. – ალექსეევკის დასახლება (იაკობ ხვედელიანის ქ. – ბესარიონ ქებურიას დასახლების III ქ. – ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქ.) – კახეთის გზატკეცილი – ევროპის ქ. (მობრუნება ევროპის ქუჩაზე მონუმენტის მიმდებარედ) – კახეთის გზატკეცილი –

ჯავახეთის ქ. – მოსკოვის გამზირი – ქეთევან დედოფლის გამზირი – მ/ს „ისანი“ (ქეთევან დედოფლის გამზირი №67 “ა“-ს მოპირდაპირედ). უკუმიმართულება: მ/ს „ისანი“(ქეთევან დედოფლის გამზირი №67“ა“-ს მოპირდაპირედ) – ვაჟა ჩაჩავას ქ. – აწყურის ქ. – კახეთის I შესახვევი – ქეთევან დედოფლის გამზირი – მ/ს „სამგორი“ (ქვედა გასასვლელი) – მოსკოვის გამზირი – ჯავახეთის ქ. – კახეთის გზატკეცილი – ალექსეევკის დასახლება (ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქ. – ბესარიონ ქებურიას დასახლების III ქ. – იაკობ ხვედელიანის ქ.) – აეროპორტის დასახლება (ვერა ბარდაველიძის ქ. – ლუი ბლერიოს ქ.((მობრუნება ლუი ბლერიოს ქ. #20-თან) – ლუი ბლერიოს ქ. – ვერა ბარდაველიძის ქ. – შალვა ჭანკოტაძის ხეივანი – სანდრო შანშიაშვილის ქ.) – აეროპორტის დასახლება (სანდრო შანშიაშვილის ქ., №28 კორპუსის მოპირდაპირედ). მარშრუტზე იმოძრავებს საშუალო ტევადობის 5 ერთეული ავტობუსი, 16 წუთიანი ინტერვალით.

მარშრუტი №399 - მ/ს "ვარკეთილი" (მიმდებარედ) - ჯავახეთის ქ. - კახეთის გზატკეცილი - ლილო ,,მოლი". უკუმიმართულება: ლილო მოლი - კახეთის გზატკეცილი - ჯავახეთის ქ. - მ/ს "ვარკეთილი" (მოპირდაპირედ) - ჯავახეთის ქ. (მობრუნება #172-ის მიმდებარედ) - მ/ს "ვარკეთილი" (მიმდებარედ). მარშრუტზე იმოძრავებს საშუალო ტევადობის 6 ერთეული ავტობუსი, 12 წუთიანი ინტერვალით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032210190-03; 11.04.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე